პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 დეკემბერი, კვირა, 1986 წ.
№ 248 (9409) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტული ნაწარმი

ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს სპორტული საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სპორტისა და ტურიზმის ინდუსტრია მილიონობით საბჭოთა ადამიანის ინტერესების სფეროდ იქცა. სოციალურ-ეკონომიკური მძლავრი განვითარების დღევანდელ პირობებში სულ უფრო მეტი შესაძლებლობები იქმნება საიმისოდ, რომ ჩვენმა ადამიანებმა მეტი იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე, ხალისიანად და შინაარსიანად გაატარონ თავისუფალი დრო.

ფიზიკური კულტურა ადამიანების ყოველდღიურ ყოფაში რომ მკვიდრდება, თავისთავად დადგა დღის წესრიგში შესაბამისი მოთხოვნილების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხები.

ჩვენს რესპუბლიკაშიც არაერთი დასახელების სპორტულ საქონელს უშვებენ. სპორტსახკომში მთელ ამ სისტემას კოორდინაციას უწევს სპეციალური სამმართველო. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩვენთან უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები რათა ამაღლდეს სპორტული ნაწარმის, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები. კორექტირების შედეგად მომავალი წლიდან ჩვენი საწარმოები გამოუშვებენ ისეთი ასორტიმენტის პროდუქციას, რომელზედაც გაზრდილია მოთხოვნილება. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობის ერთ უმნიშვნელოვანეს სტიმულად მიჩნეულია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი სპორტული პროდუქციის წარმოების გაფართოება.

მარტო მომავალ წელს საკავშირო ბაზარი სარეალიზაციოდ მიიღებს 80 მილიონზე მეტ წყვილ სპორტულ ფეხსაცმელს, ეს დიდად შეუწყობს ხელს ამ პროდუქციაზე საყოველთაო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. XII ხუთწლედში სპორტული საქონლის წარმოება მთლიანად გადახალისდება, გაიხსნება ახალი საწარმოები. საკავშირო სპორტსახკომის სპორტული ნაწარმის გამოშვების მთავარი სამმართველოს უფროსმა ი. ეუკოვმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ 1990 წლისათვის მწყობრში ჩადგება ათობით ახალი, სპეციალიზებული წარმოება, მოწესრიგდება სპორტული საქონლის რეგიონალური მოთხოვნილების გათვალისწინებით განაწილებისა და ვაჭრობის სისტემა.

მეტი, მრავალფეროვანი და კარგი ხარისხის სპორტული საქონლის წარმოება საერთო ღირსების საქმეა. ეს უსათუოდ უნდა გაითვალისწინოს ყველამ და განსაკუთრებით იმათ, ვინც ჩვენს რესპუბლიკაში წარმოების ამ სფეროში ილვწის.



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

თბილისი. სპორტის სასახლე. 2[illegible] დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „რტი“ (მინსკი) 97:90 (48:48).

„დინამო“: დარსაძე (24), სანაძე (23), [illegible] (21), კაპუსტინი (18), ტიუბინი (4), ბორო[illegible]ვი (4), ფერიაშვილი.

რტი: იაკუბენკო (35), სატიროვი (14), ეელუდოკი (9), გრიშჩუკი (8), სლანევსკი (6), პართიანოვიჩი (6), კრიშჩიკი (6), ბუზლიაკოვი (4), პუსტოგვაროვი (2), დემკო.

მსაჯები: ტ. ჰასანოვი (ბაქო) და ს. ფომინი (სმოლენსკი).

თბილისი. სპორტის სასახლე. 26 დეკემბერი.

„დინამო“ (მოსკოვი) — „სტროიტელი“ (კიევი) 86:85 (52:45).

„დინამო“: ჟიგილიი (20), სიზოვი (16), კოლჩევი (13), ოხოტნიკოვი (10), შიშკოვი (9), ლინდინი (9), კორნიშინი (7), ხუხარევი (2), ფეხენკო.

„სტროიტელი“: ბონდარენკო (26), როჟოვი (14), სილვესტროვი (11), პოდკოვიროვი (9), კოვალენკო (7), კოსენკო (7), კოლეჟუკი (5), შაპტალა (3), ვოროტნიუკი (3), რეზცოვი.

მსაჯები: ი. გოლინსკი და რ. სალმუხამედოვი (ტაშკენტი).

ოთხი შეხვედრა, ოთხი გამარჯვება

ოთხი შეხვედრა — ოთხი გამარჯვება! ასეთია თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა შედეგი საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა მეორედ უმასპინძლა 54-ე საკავშირო ჩემპიონატის ტურს. ისე, როგორც სექტემბერში, თბილისელებმა ახლაც კარგად ითამაშეს, საკუთარ გულშემატკივართა წინაშე თავი არ შეირცხვინეს და კვლავ ასპროცენტიან შედეგს მიაღწიეს.

შეჯიბრების ბოლო დღეს თბილისის „დინამო“ მინსკის რტი-ს შეხვდა. ვისაც ეს მატჩი არ უნახავს, მისი შედეგის (97:90) მიხედვით შეიძლება იფიქროს „დინამოს“ გამარჯვება არ გასჭირვებიაო, მაგრამ ასეთი აზრი არ იქნება სწორი.

„დინამომ“ შეხვედრა უძლიერესი შემადგენლობით დაიწყო (კაპუსტინი, სანაძე, დარსაძე, ტიუბინი, ოპოშნიანი), მაგრამ მინსკელთა ზუსტ ტყორცნებს თბილისელებმა კარგა ხანს ვერაფერი დაუპირი[illegible]

იხ. მე-3 გვ.

სურათზე: ფარს უტევს გენადი კაპუსტინი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გუშინ...

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის დიდმის საწვრთნელ გაზაზე გაიმართა ჟურნალისტების შეხვედრა „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივის ხელმძღვანელობასთან.
(იხ. მე-3 გვ.).

ალექსანდრე ჩივაძე.

ალექსანდრე ჩივაძე და თენგიზ სულაქველიძე სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის

იხ. მე-3 გვ.

თენგიზ სულაქველიძე.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები, ჰანს ბურჯანაძე, არნოლდ კვეტენაძე

სპორტული გმირობა! ასე შეიძლება შეფასდეს საქართველოს ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრების გამოსვლა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში. ჩვენ ადრე წარმოგიდგინეთ გუნდის ლიდერი ვლადიმერ გოგოლაძე, რომელმაც იშვიათი ოსტატობით იასპარეზა მოსკოვში. დღეს მთელ კოლექტივზე და მის მწვრთნელებზე — ჰანს ბურჯანაძეზე და არნოლდ კვეტენაძეზე გესაუბრებით.

მაინც რატომ მიიპყრო ასეთი ყურადღება ჩვენი გუნდის შედეგმა? საქმე მარტო ის როდია, რომ საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა სპარტაკიადების ისტორიაში პირველად დაისაკუთრეს ბრინჯაოს მედლები გუნდურ შეჯიბრებაში. მთავარი, ალბათ, ის არის, რომ ეს შეძლო ნაკრებმა, რომელსაც საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში ცოტა ვინმე თუ თვლიდა ანგარიშგასაწევ ძალად. დიახ, ჩვენი გუნდის წევრებმა — ვლადიმერ გოგოლაძემ, ამირან ბერიანიძემ, ალექსანდრე ლებედევმა, ზაზა ხომასურიძემ, ნუგზარ ღვინიაშვილმა და ლევან სისაურმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს და უკან ჩამოიტოვეს მთავარი კონკურენტები — ბელორუსიისა და ყაზახეთის ტანმოვარჯიშეები.

იხ. გვ.2 გვ.

საქართველოს ვაჟ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები.

სეზონის ფინიშთან სამი ოქროს მედლით

სევეროდონეცკის მეტალურგთა ჩოგბურთის სასახლეში დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 120-ზე მეტი ჩოგბურთელი მონაწილეობდა.

ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდნენ სახალხო განათლების თბილისის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელები. მათ დიდი წარმატება ხვდათ წილად — სამი ოქროს მედალი დაისაკუთრეს.

1973-74 წლებში დაბადებულ გოგონათა შეჯიბრებაში გაიმარჯვა თბილისის მე-100 სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ თამრიკო ბერიძემ, რომელმაც ფინალში დაამარცხა სევეროდონეცკელი ოლგა გონჩაროვა — 6:4, 6:3.

მეორე ოქროს მედალი წილად ხვდა თბილისის რკინიგზის მე-2 სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეს ლალი გიორგაძეს, რომელმაც ფინალში მასპინძელ ელენა ვარფოლომეევას სძლია — 6:4, 6:2.

1973-74 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის საუკეთესო იყო თბილისის 102-ე სკოლის მერვე კლასის მოსწავლე გივი გორდაძე. გივიმ ფინალში იოლად დაამარცხა უჟგოროდელი ვლადიმერ კორჟევი — 6:2, 6:3.

აღსანიშნავია, რომ ორივე გამარჯვებული გოგონას მწვრთნელია სპორტის ოსტატი ვლადიმერ პერეგუდოვი, გივი გორდაძეს კი სპორტის ოსტატი გივი ახალაძე ავარჯიშებს.

არტემ მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ქამი ფიქრისა, ქამი განსჯისა

1973 წლიდან დღემდე საქართველოში ბალახის ჰოკეისტთა რამდენიმე გუნდი შეიქმნა, მაგრამ სათანადო ბაზის უქონლობისა და უყურადღებობის გამო დღეს მხოლოდ მოზრდილთა ერთი გუნდი გვყავს (ქუთაისის „ლოკომოტივის“ ვაჟთა გუნდი), თბილისში, ბათუმსა და ლანჩხუთში კი ჭაბუკთა რამდენიმე კოლექტივია, ეს არის და ეს...

საჭირო რეზერვების უქონლობა, რა თქმა უნდა, დიდ გასაჭირს უქმნიდა რკინიგზელ სპორტსმენებს, მით უმეტეს, რომ ისინი არც უურადღებით იყვნენ განებივრებულნი, მაგრამ წლევანდელი წელი ჩვენს რესპუბლიკაში ბალახის ჰოკეის განვითარების საქმეში გარდატეხის პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. ერთი იმიტომ, რომ „ლოკომოტივმა“ კვლავ შეინარჩუნა ადგილი პირველ ლიგაში, მეორეც — ამ გუნდის ბაზაზე ჩამოყალიბებულმა საქართველოს ნაკრებმა სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე მეექვსე ადგილი დაიკავა. რაც მთავარია, გუნდს უურადღება მიაქციეს, დახმარების ხელიც გაუწოდეს, თუმცა ამაზე ქვემოთ...

ბალახის ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ქუთაისის „ლოკომოტივის“ გუნდის უფროსს თემურ არჩაიას ვთხოვეთ დაწვრილებით მოეთხრო წლევანდელი ჩემპიონატის შესახებ.

— წლევანდელი სეზონი ძალიან დაძაბული იყო, ექვსი თვის განმავლობაში 63 მატჩი ვითამაშეთ: 44 — ჩემპიონატში, 5 — თასის გათამაშებაში, 8 — სპარტაკიადაზე და 6 — ამხანაგური. შარშან ჩემპიონატში VI ადგილი დავიკავეთ, წელს კი ორ ფრონტზე ვებრძოდით. ამიტომ მიზნად სპარტაკიადაზე ფინალურ ჯგუფში მოხვედრა და პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნება დავისახეთ. იმისათვის, რომ ახალგაზრდებს გამოცდილება შეეძინათ, გასვლითი თამაშები ჩავატარეთ სწორედ იმ ასაკის სპორტსმენთა მონაწილეობით, რომლებიც სპარტაკიადაზე იყვნენ დაშვებულნი. სამწუხაროდ, პირველ თამაშებში დაშავდნენ და პირველობას მთელი წლით გამოეთიშნენ გუნდის ბომბარდირები ჭ. ბაზაძე და ე. ტალაბაძე. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ბევრი სტუდენტია, რომლებმაც ივნის-ივლისში საგამოცდო სესიების გამო ვერ შეძლეს მონაწილეობა მიეღოთ მატჩებში. სწორედ ამ პერიოდზე მოდის სტუმრად ჩატარებული მარცხიანი სერია — რვა მატჩში განცდილი რვა დამარცხება. თანაც გუნდი სავარჯიშოდ სოფელ გეგუთში დადიოდა და იქ ჩვეულებრივ მინდორზე თამაშობდა, ვინაიდან ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ბალახის ჰოკეის ხელოვნურსაფარიანი მინდვრის მშენებლობა. გუნდმა შინ გამართული 22 შეხვედრიდან 17 მოიგო, 4 ფრედ დაამთავრა და ერთი მატჩი წააგო, მეტოქეთა მინდორზე კი 22 შეხვედრიდან 21 წაგო და მხოლოდ ერთი მოიგო.



ოპტიმიზმის საფუძველი

„ლოკომოტივმა“ 44 თამაშიდან 40 ქულა მოაგროვა (18 მოგება, 4 ფრე, 22 წაგება, ბურთების სხვაობა 59-78) და გათამაშების ცხრილში 12 გუნდს შორის მეცხრე ადგილი დაიკავა. წელს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს სამარყანდის „სპარტაკმა“ და ლენინგრადის „ვოლნამ“, ხოლო მეორე ლიგაში გადაინაცვლეს ბრესტის „სახლმშენმა“ და კრივოი როგის „ავტომობილისტმა“. თუ ჩვენი გუნდის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს და IX სპარტაკიადაზე ნაჩვენებ შედეგებს გავითვალისწინებთ, საკავშირო სარბიელზე „ლოკომოტივის“ გამოსვლით უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ, რადგან გუნდმა დასახული ამოცანა შეასრულა.

ახლა გაგაცნობთ იმ ჰოკეისტებს, რომლებიც წელს იცავდნენ კოლექტივის ღირსებას:

მ. ჯოჯუა — 36 თამაში, მ. როხვაძე — 8, შ. ნუცუბიძე — 6, ა. კოხრეიძე — 40 (7 გოლი), ს. შამისეიშვილი — 42, მ. ფულარიანი 40 (1 გოლი), ე. გოგავა — 18, რ. ამაღლობელი — 22, ა. გოგავა — 8, გ. მჟავანია — 6, ზ. თოფურია — 6, ა. ძნელაძე — 36 (2), მ. ჭიკაძე — 42 (22), ნ. მაშდოვი — 6, ზ. დათიაშვილი — 2, ვ. დათიაშვილი 2. პ. წერეთელი— 4, ზ. მიქაბერიძე — 4, ა. ჯანგავაძე — 40 (5), ზ. ჩარკვიანი 18 (5), კ. ოყრეშიძე — 18 (3), გ. თორდია — 18, რ. ბიჯიროვი 24 (1), ბ. მეტრეველი — 4, ი. ყუბანეიშვილი 22 (6), ა. მელოვი — 14, ლ. კირთაძე — 6, დ. გვეტაძე — 2, ე. ტალაბაძე — 8 (7), ჭ. ბაზაძე — 4 (1).

— სპარტაკიადა ახსენეთ... ჩვენი ნაკრები ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდა, რსფსრ-ის და ლენინგრადის ნაკრები გუნდები უძლიერესები არიან კავშირში, თანაც ისინი მთელი სეზონის მანძილზე ხელოვნურსაფარიან მინდორზე თამაშობენ, ჩვენ კი მხოლოდ ექვსი ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ ასეთ მინდორზე. პირველი შეხვედრა ლენინგრადის ნაკრებთან გვქონდა. იგი „ვოლნას“ ბაზაზე ჩამოყალიბდა, ამ გუნდმა კი უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. ბალახის ჰოკეის სპეციალისტები განცვიფრდნენ, ისეთი შემართებით ითამაშეს ჩვენმა ბიჭებმა. ლენინგრადელებს არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ ჩვენს კართან, თუმცა ვერც ჩვენ შევძელით სამი საგოლე მომენტის გამოყენება და თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0. ეს ანგარიში ჩვენთვის საპატიო იყო. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ ვითამაშებდით ჩვენ და ლენინგრადელები რსფსრ-ის ნაკრებთან. საქართველოს ნაკრები ამ ძნელ მატჩში ანგარიშით 1:3 დამარცხდა, ლენინგრადელთა კოლექტივი კი — 0:2. რვა უძლიერეს შორის სწორედ ამ ერთი გატანილი გოლის წყალობით მოვხვდით. აქ თავი მოიყარეს უზბეკეთის, უაზახეთის, რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის, მოსკოვის, ტაჯიკეთის და საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა. კენჭისყრამ პირველ სამ თამაშში სპარტაკიადაზე მოსასარეზე უძლიერეს გუნდებს (უზბეკეთი, უკრაინა და უაზახეთი) შეგვახვედრა. სამივესთან დავმარცხდით. მორიგი მეტოქე ბელორუსიის ნაკრები იყო. ამ თამაშზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მსაჯების უხეში შეცდომებისა და მიკერძოების გამო ჩვენ დავმარცხდით. მართალია, მსაჯები გათამაშებიდან მოხსნეს, მაგრამ ამ მატჩში მწყობრიდან გამოვიდა ორი ძირითადი მოთამაშე, ხოლო ერთი მოედნიდან გააძევეს. ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მომდევნო მატჩებში შეძლეს დაემარცხებინათ ტაჯიკეთის ნაკრები და ფრედ ეთამაშათ მოსკოვის ძლიერ გუნდთან. საბოლოოდ VI ადგილი დავიკავეთ და ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას 56 ქულა შევაძინეთ. ალბათ სწორად მოვიქეცით, ახალგაზრდებს რომ მივეცით საკავშირო პირველობაში მონაწილეობის უფლება. ისინი მძიმე პირობებს არ შეუშინებია. ბიჭებმა პირნათლად მოიხადეს ვალი.

— კიდევ რამდენიმე წელი და ისევ ჩატარდება სპარტაკიადა. როგორ ვითარდება ბალახის ჰოკეი ჩვენს რესპუბლიკაში და რა პრობლემები გაქვთ გადასაჭრელი თქვენ, ნაკრების უფროს მწვრთნელსა და „ლოკომოტივის“ გუნდის უფროსს?

— უნდა ითქვას, რომ ბალახის ჰოკეის ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი თაყვანისმცემელი არა ჰყავს. არ ტარდება საქართველოს პირველობები, ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის 13 რესპუბლიკაში პირველობა 10-14 გუნდს შორის ორ წრედ იმართება. ჭაბუკთა გუნდები გვყავს მხოლოდ ბათუმში, ლანჩხუთსა და თბილისში, სოხუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, წყალტუბოში და რუსთავშიც რომ გვყავდეს, მაშინ სპორტის ეს ულამაზესი სახეობა უფრო მასიურად გახდებოდა. საქართველოს ნაკრებსაც ღირსეული შეკვრა ეყოლებოდა. მეწყვილეს შენარჩუნება და განმტკიცება სჭირდება.

ვფიქრობ, ბალახის ჰოკეიში მწვრთნელები, რომლებიც ჩვენ თითოეროლა თუ მოგვეძევება, სწორად მუშაობენ, ამაში გვარწმუნებს ამას წინათ ქალაქ სვერდლოვსკში ჩატარებული სსრ კავშირის ახალგაზრდული ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენმა გუნდმა (უფროსი მწვრთნელი ჯ. ბაზაძე, მწვრთნელი ჯ. კერესელიძე) ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში საპატიო მეხუთე ადგილი დაიკავა.

ამჯერად „წვრილმან“ გასაჭირზე არ შევჩერდები, რადგან ბევრჯერ გვითქვამს, რომ არ გვყოფნის სპორტული ფორმა, ინვენტარი, არ გვემსახურება ავტობუსი, ექიმი; ქართულ ენაზე არ არსებობს ბალახის ჰოკეის თამაშის წესები და სხვა. ჩვენი სპორტსმენები ძოუთმენლად ელიან ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობის დამთავრებას, ქუთაისი ჩვენს ქვეყანაში შეექვსე ქალაქი იქნება, სადაც ბალახის ჰოკეის სათამაშო სპეციალური მოედანი მოეწყობა, ასე რომ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სპორტსმენთა ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადების დონე; თამაშისა და რეზერვების მომზადების ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდება.

რაც მთავარია, ოპტიმისტურად განგვაწყობს საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელობის ყურადღება. ამას წინათ სპორტსახკომის კოლეგიამ ჩვენს რესპუბლიკაში ბალახის ჰოკეის შემდგომი განვითარების შესახებ მიიღო დადგენილება, რომელიც ამ სახეობის შემდგომ პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ერთი სიტყვით, წლევანდელი წელი ჩვენს რესპუბლიკაში ბალახის ჰოკეის განვითარების საქმეში შემობრუნების, გარდატეხის პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. მომავალ სეზონში ვეცდებით პირველ ლიგაში ლიდერთა ხუთეულში დავიმკვიდროთ ადგილი.

თამაზ ხარაბაძე.
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები, ჰანს ბურჯანაძე, არნოლდ კვეტენაძე

დასასრული

სპორტული შეჯიბრება ხშირად სიურპრიზებითა და მოულოდნელობებითაა აღსავსე, როცა შეუძლებელია ამოიცნო ბრძოლის სიუჟეტი. ამ ბრძოლაში სპორტსმენი თუ გუნდი ზოგჯერ საკუთარ თავსაც აჭარბებს. აი, ასე იასპარეზა საქართველოს ნაკრების თითოეულმა წევრმა და ამიტომაც ვანიჭებთ მათს გამარჯვებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ტანმოვარჯიშეთა სასპარტაკიადო ტურნირის ფავორიტი რუსეთის ფედერაციის ნაკრები იყო, ძლიერი, სტაბილური გუნდი ჰყავდათ უკრაინელებსაც. შემდეგ უპირატესობას ბელორუსიისა და უაზახეთის სპორტსმენებს ანიჭებდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე რსფსრ-ის ნაკრები დაწინაურდა, უკრაინელებმაც საგრძნობლად ჩამოიტოვეს დანარჩენები, მესამე ადგილისთვის კი საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. თითოეულ იარაღზე ვარჯიშის შემდეგ იცვლებოდა სატურნირო მდგომარეობა. ჩვენმა ბიჭებმა განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს ბოლო იარაღზე (რგოლებზე) — ლებედევმა 9,75 ქულა დაიმსახურა, გოგოლაძემ — 9,55, დანარჩენებმა — 9,50. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ნაკრებს ვერავინ შეეცილებოდა მესამე ადგილს. საბოლოოდ პრიზიორთა სამეული ასე განაწილდა: 1. რსფსრ — 565,90; 2. უკრაინა — 558,70, 3. საქართველო — 557,30.



ჰანს ბურჯანაძე



არნოლდ კვეტენაძე

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ამ გამარჯვებას წლების მანძილზე ეყრებოდა საფუძველი. გუნდის წევრები თითქმის ერთდროულად მოვიდნენ ნაკრებში. უფროსმა მწვრთნელმა ჰანს ბურჯანაძემ და მისმა კოლეგებმა დიდი შრომისა და მონდომების ფასად შეძლეს მონოლითური, ბრძოლისუნარიანი კოლექტივის ჩამოყალიბება. ჰანს ბურჯანაძე ავტორიტეტული ფიგურაა სპორტულ ტანვარჯიშში. მის აღსაზრდელებს აქამდეც არაერთხელ უსახელებიათ თავი დიდ სარბიელზე. საქართველოს ნაკრების წევრთა ვარჯიშს აშკარად ეტყობა ნიჭიერი მწვრთნელის ხელი. გამოცდილმა სპეციალისტმა არაერთი სიახლე შეიტანა ცალკეულ ტანმოვარჯიშეთა პროგრამაში, მაგრამ ჰანს ბურჯანაძის მთავარი დამსახურება ის გახლავთ, რომ მისი მეცადინეობით გუნდში შეიქმნა შემოქმედებითი, მეგობრული ატმოსფერო. სასიხარულოა, რომ მწვრთნელ-სპორტსმენების მონდომება, მიზნისკენ სწრაფვა ასეთი გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ წარმატებაში, რა თქმა უნდა, დიდი წელილი შეიტანეს აგრეთვე ცნობილმა მწვრთნელმა არნოლდ კვეტენაძემ და მისმა ნიჭიერმა მოსწავლემ ვლადიმერ გოგოლაძემ. ჩვენი გუნდის ლიდერი სპარტაკიადის წინ ტრავმის გამო თითქმის ნახევარი წელი არ გამოსულა სარბიელზე, მაგრამ არნოლდ კვეტენაძეს სჯეროდა, რომ ლადო მთავარი შეჯიბრებისთვის აღიდგენდა სპორტულ ფორმას. ასეც მოხდა, ვლადიმერ გოგოლაძე ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა სპარტაკიადაზე, მეოთხეადში მეორე ადგილი დაიკავა, ცალკეულ იარაღებზე კი ორი მედალი მოიპოვა: ოქროსი — ღერძზე და ბრინჯაოსი — ტაიჭზე.

„ძველსაც ნუ მოვიძულებთ“

„ლელოს“ მიმდინარე წლის 2 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „ძველსაც ნუ მოვიძულებთ“, რომელშიც საუბარი იყო ცხაკაიას მე-3, მე-5 საშუალო სკოლებისა და ბავშვთა სპორტული სკოლის სპორტდარბაზების, აგრეთვე განათლების განყოფილების ბავშვთა საცურაო აუზის ზამთრის სეზონისათვის მზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე. ამასთან დაკავშირებით ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომისგან მივიღეთ პასუხი, რომელმაც არ დაგვაკმაყოფილა. და აი, ახლახან ცხაკაიას რაისაბჭოს ღმასკომიდან კვლავ გვაცნობეს: „25 ნოემბრისათვის უველა ის ნაკლოვანება, რაზეც გაზეთმა გაამახვილა ყურადღება, თითქმის გამოსწორდა. გამონაკლისია მხოლოდ მე-5 სკოლის მეზობლად მდებარე საცურაო აუზი. აუზიდან წყალი ყონავს, რასაც ნაწილობრივ ხელი შეუწყო იმანაც, რომ აუზი ტერიტორიულად ახლოსაა რკინიგზის მაგისტრალთან, მატარებლების ინტენსიური მოძრაობა კი დიდ ბიძგებს იძლევა. გარდა ამისა ზამთარში დიდძალი ნალექი მოდის, ხშირია ძლიერი ქარები, რის გამოც ძნელდება აუზის მოვლა. იმისათვის, რომ საცურაო აუზმა ნორმალურად იმუშაოს, საჭიროა მისი გადახურვა. ვფიქრობთ, ამის შესახებ დასმული საკითხი დადებითად გადაწყდება.

რაისაბჭოს აღმასკომის კომპეტენტურმა კომისიამ 1986 წლის 17 ნოემბერს შეადგინა აქტი და მიზანშეწონილად ჩათვალა ბავშვთა საცურაო აუზის გადახურვა. ამის საფუძველზე ცხაკაიას სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა 1986 წლის 20 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება განათლების განყოფილების ბავშვთა საცურაო აუზში კაპიტალური რემონტის დაწყებასთან დაკავშირებით მისი დროებით დახურვის შესახებ.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ცხაკაიას სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა 17 დეკემბერს განიხილა გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებულ წერილში („ძველსაც ნუ მოვიძულებთ“) მოტანილი ფაქტები და არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა ქალაქის მე-3 (დირექტორი შ. ახალაია) და მე-5 (ა. ბერაია) საშუალო სკოლების, ბავშვთა სპორტული სკოლისა (დ. კიტოვანი) და საცურაო აუზის (ო. ოდიშარია) დირექტორების საქმიანობა და მათი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი მასწავლებელთა ხაბჭოს სხდომაზე განსახილველად განათლების განყოფილებას გადასცა. არადამაკმაყოფილებლად შეფასდა აგრეთვე განათლების განყოფილებისა და ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელების (კ. შარტავა, თ. ბოჭორიშვილი) მუშაობა.

ქალაქის მე-3 და მე-5 საშუალო სკოლის, ბავშვთა სპორტული სკოლისა და საცურაო აუზში ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებლად სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შეუსრულებლობისათვის მეხუთე სამშენებლო ტრესტის მე-12 და 50-ე მოძრავ მექანიზებული კოლონის, ტრესტ „კურორტმშენის“ სამშენებლო სარემონტო სამმართველოს ხელმძღვანელებს ჯ. ნინუას, შ. ძიძავას, დ. ჯავახიას მიეთითათ.

აღმასკომის სხდომამ ცნობად მიიღო ქალაქის მე-3, მე-5 საშუალო და ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორის ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ 25 ნოემბრისათვის ამ სკოლათა სპორტული დარბაზები კეთილმოეწყო და მწყობრში ჩადგა.

ა. ცაგურია,
ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ვითანამშრომლოთ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ

ასეთი შეხვედრა ყოველთვის საჭირო და აუცილებელი იყო, მაგრამ არ იმართებოდა. და აი, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელებისა და რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თაოსნობით გუნდის ხელმძღვანელები და ჟურნალისტები ჩემპიონატის დამთავრებისა და ახალი სეზონისათვის მზადების დაწყების წინ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს.

რა დასამალია და, კარჩაკეტილობა არასასიამოვნო მითქმა-მოთქმის, ჭორის, ზოგჯერ ფაქტებისა და მოვლენების არაობიექტური შეფასებების ხაბაბს იძლეოდა. ამიერიდან ასე აღარ იქნება. ამაზე შეთანხმდნენ „დინამოს“ ხელმძღვანელები და ჟურნალისტები. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი, როგორც პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ისე გუნდის თავკაცებს. „დინამოს“ ხელმძღვანელებიდან პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ უფროსი მწვრთნელი კახი ასათიანი, გუნდის უფროსი ნუგზარ ებრალიძე და მწვრთნელი შოთა ჭეიშვილი, გუნდის ექიმი ზაქრო თელია და დინამოელთა კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე. („დინამოს“ მეორე მწვრთნელი გივი ნოდია მივლინებაში ყოფნის გამო შეხვედრას არ ესწრებოდა).

თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელის კახი ასათიანის ინფორმაცია:

— ახალი სეზონისთვის მზადებას 3 იანვარს შევუდგებით. 18 იანვრამდე ვივარჯიშებთ ჩვენს საწვრთნელ ბაზაზე დიღომში, ხოლო 18-ში ორი კვირით ლესელიძეში გავემგზავრებით. 4 თებერვალს მოსკოს გავფრინდებით, მეორე დღეს კი — პორტუგალიაში, სადაც რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩატარება გვაქვს დაგეგმილი. ჯერჯერობით მხოლოდ ორი მეტოქის ვინაობა ვიცით. პირველ შეხვედრას გავმართავთ ლისაბონის „ბენფიკასთან“, მეორეს — „პორტუსთან“. 17 თებერვალს შინ დავბრუნდებით. ორი დღით ადრე ლესელიძეში დაიწყება საერთაშორისო ტურნირი, რომლის სავარაუდო შემადგენლობაც ასეთია: „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (კიევი), „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (მინსკი), უნგრეთის „ჩეპელი“, პოლონეთის ქალაქ კრაკოვის „ვისლა“ და ჩეხოსლოვაკიის ორი კლუბი — ხების „რუდა ჰვეზდა“ და ოლომოუცის „სიგმა“. ამ ტურნირის პირველ ორ მატჩს ჩვენი გუნდი სათადარიგო შემადგენლობით ჩაატარებს, 20 თებერვლიდან კი შეჯიბრებაში ძირითადი ფეხბურთელები ჩაებმებიან. 28-ში კვლავ თბილისში დავბრუნდებით და 5 ან 6 მარტს უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ კოლექტივთან გვექნება შეხვედრა. 10 მარტს დაიწყება საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი. პირველ ორ ტურში კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შევხვდებით.

● რა ცვლილებებია გუნდში?

კ. ასათიანი: პრესაში უკვე გამოქვეყნდა იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც თბილისის „დინამოდან“ გაირიცხნენ. დაგისახელებთ ახლად მოწვეულ მოთამაშეებს: კორღალიძე, ვასაძე, მალანია, აბუსერიძე, ბარათაშვილი. გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელიც. მოხარული ვარ, რომ კვლავ ჩვენთან ერთად არის „დინამოს“ ვეტერანი რამაზ შენგელია. ვაპირებთ მოსკოვის „სპარტაკის“ სათადარიგო მეკარის ჩერჩესოვის მოწვევასაც.

● ბოლო ხანებში თბილისის „დინამოს“ ყველაზე სუსტ რგოლად ნახევარდაცვა ითვლებოდა. როგორ აპირებთ ამ ხარვეზის გამოსწორებას?

კ. ასათიანი: სწორედ ნახევარდაცვის გაძლიერებას ვისახავდით მიზნად, როცა ქუთაისის „ტორპედოდან“ მოვიწვიეთ კორღალიძე. გარკვეულ იმედს ვამყარებთ გურამ ვასაძეზეც. რაც შეეხება თენგიზ სულაქველიძეს, იგი, ვფიქრობ, საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციას უნდა ასრულებდეს. ამ ამპლუაში მას უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია გუნდისთვის. ვიმედოვნებ, რომ დასახელებულ ფეხბურთელებს მხარში ამოუდგებიან რევაშვილი, კაკილაშვილი და სხვები. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მხოლოდ წინასწარი, შორეული ვარაუდია. რა მოხდება მარტამდე, ამას დრო და მზადება გვიჩვენებს.

● ბოლო წლებში თბილისის „დინამოს“ კოლექტივი არ გამოირჩეოდა მონოლითურობით. გუნდს აკლდა ერთსულოვნება როგორც მინდორზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც. იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას და თუ იზიარებთ, რა გზით აპირებთ მდგომარეობის გამოსწორებას?

კ. ასათიანი: 20 დეკემბერს, გუნდის საერთო კრებაზე, სწორედ ამ თემაზე ვისაუბრეთ. გადავწყვიტეთ, დაუყოვნებლივ დავითხოვოთ ის ფეხბურთელები, ვინც მხარში არ ამოგვიდგება, სრული პასუხისმგებლობით არ მოეკიდება საქმეს. სხვაგვარად შეუძლებელია ერთსულოვნების მიღწევა, მონოლითური, ერთიანი აზრით გამსჭვალული კოლექტივის შექმნა. სპორტული რეჟიმის მცირე დარღვევასაც არავის ვაპატიებთ. როცა საქმე ქართული ფეხბურთის ინტერესებს ეხება, წვრილმანები არ არსებობს.

● წლევანდელ სპორტულ სეზონში თბილისის „დინამომ“ V ადგილი დაიკავა. ბევრი თვლის, რომ ეს გუნდის ახლანდელი შემადგენლობისათვის, კოლექტივში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, მაქსიმალური შედეგი იყო. გუნდის ახალი უფროსი მწვრთნელისთვის ეს გარემოება ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერი ხომ არ იქნება?

კ. ასათიანი: ყოველი სეზონის წინ და ახლაც თბილისის „დინამოს“ მიზანს საპრიზო სამეულში გასვლა წარმოადგენს. ამასთან, ცხადია, მაყურებელს გუნდმა უნდა უჩვენოს ნამდვილი, ვაქკაცური ფეხბურთი. ისეთი თამაში, რომლის გულისთვის ყველა ფეხბურთის მოყვარული სიამოვნებით ივლის სტადიონზე.

● როგორ მოხდა, რომ წლევანდელი სეზონის მიწურულს დინამოელთა ერთი ჯგუფი გუნდის ყოფილ ხელმძღვანელობას აუმხედრდა და მისი გადადგომა მოითხოვა?

ა. ჩივაძე: გეთანხმებით, მეტად უსიამოვნო ფაქტია. რა დასამალია და ამაში ბრალი მწვრთნელებსაც მიუძღვით და მოთამაშეებსაც. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გუნდში არ უნდა იყვნენ, ასე ვთქვათ, „განაწყენებული“ ფეხბურთელები. კოლექტივში ყველამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი, მოვალეობა, უნდა ჰქონდეს უნარი, რეალურად შეაფასოს საკუთარი ძალა. ყოველივე ამაში, უპირველეს ყოვლისა, უფროს მწვრთნელს უნდა შეჰქონდეს სიცხადე. ფეხბურთელები კი, თავიანთ მხრივ, გამუდმებით უნდა ზრუნავდნენ ოსტატობის ამაღლებაზე და, რაღა თქმა უნდა, რეჟიმის დაცვაზე. მით უმეტეს, როცა საქმე უმაღლესი ლიგის გუნდს ეხება. საკუთარი სისუსტის გამართლებას მოთამაშე გარეშე მიზეზებით არ უნდა ცდილობდეს.

● როგორია თბილისის „დინამოს“ წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა?

ზ. თელია: უფროს მწვრთნელს სწორედ დღეს გადავეცით გაღრმავებული სამედიცინო შემოწმების შედეგები. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ რვა ფეხბურთელი აბსოლუტურად ჯანმრთელია, დანარჩენებს კი პრაქტიკულად არაფერი აწუხებთ.

● სამწუხაროდ, არაერთი ისეთი შემთხვევის გახსენება შეგვიძლია, როცა ვალმოხდილი ფეხბურთელი საკადრისად ვერ გაგვიცილებია დიდი სპორტიდან...

კ. ასათიანი: ეს მართლაც სამწუხაროა. ვალმოხდილი ვეტერანი დიდი ფეხბურთიდან შეუმჩნევლად არ უნდა მიდიოდეს. შევეცდებით აღვადგინოთ ძველი ტრადიციები, როცა ჩვენს სახელოვან ფეხბურთელებს საზეიმო ვითარებაში აცილებდნენ. სიამოვნებით გაუწყებთ, რომ მომავალი სეზონის დასაწყისში სწორედ ასეთ გაცილებას მოვუწყობთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვლადიმერ გუცაევს.

● როგორ აპირებთ სახელექციო მუშაობის წარმართვას?

კ. ასათიანი: ევროპის უძლიერეს კლუბებს, როგორც წესი, ჰყავთ მწვრთნელი-სელექციონერი, რომელსაც მხოლოდ მოთამაშეთა შერჩევა ევალება. ჩვენში ამ მოვალეობას სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს თანამშრომლები ასრულებენ. ახლა გვინდა ამ საქმისთვის საგანგებოდ გამოვყოთ გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც „დინამოსთვის“ შეარჩევს პერსპექტიულ ფეხბურთელებს.

* * *

დასასრულ ჟურნალისტებმა მადლობა გადაუხადეს თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას პრესკონფერენციაში მონაწილეობისა და გულახდილი საუბრისთვის.



გუშინ, თბილისის სახელმწიფო ცირკის სარბიელზე ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრების მორიგი ეტაპი, რომელშიც საქართველოს ქალაქების უბნებისა და სოფლების ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. ქარელის რაიონის სოფელ ხვედურეთის ფალავნებმა ანგარიშით 5:4 დაამარცხეს დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის წარმომადგენლები. გორის ციხისუბნის მოჭიდავეებმა ასეთივე ანგარიშით სძლიეს სოფელ ქინტაურის (ახმეტის რაიონი) გუნდს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ოთხი შეხვედრა, ოთხი გამარჯვება

დასასრული

პირეს. სტუმრები დაწინაურდნენ — 8:4... 13:8. დინამოელებმა მხოლოდ ტაიმის ბოლოს შეამცირეს სხვაობა ანგარიშში — 46:48.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მკვეთრად უმატეს თამაშის ტემპს. თანაგუნდელები ისევ დარსაძემ აიყოლია (იგი ამ მატჩშიც ყველაზე შედეგიანი იყო — 24 ქულა): მან ზედიზედ ორჯერ შეასრულა ზუსტი სროლა ექვსმეტრიანი ზონიდან და თავისი გუნდი დააწინაურა, — 52:51. ამის შემდეგ დინამოელთა უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა. შუა ტაიმში სხვაობამ ათ ქულას მიაღწია (71:61), შეხვედრის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე — თორმეტ ქულას (79:67), 37-ე წუთზე კი ცამეტ ქულას (92:79). გამარჯვება თითქოს ახლოს იყო და გულშემატკივრებს შეეძლოთ გულმშვიდად ეცქირათ თამაშისათვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხუთი პერსონალური შენიშვნის მიღების გამო მოედანი დატოვეს ტიუბინმა და ოპოშნიანმა, მინსკელებმა იაკუბენკოს მეცადინეობით, რომელმაც ამ შეხვედრაში თავის გუნდს 35 ქულა შესძინა (აქედან 21 ქულა ექვსმეტრიანი ზონიდან შვიდი ზუსტი სროლის შედეგად), შეძლეს ანგარიშის სხვაობის შემცირება. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ანგარიში გახდა 94:90. ამ მომენტში თბილისელები არ აჩქარებულან. უკანასკნელ წამზე კაპუსტინმა ზუსტი სამქულიანი სროლა შეასრულა და ანგარიში გახდა 97:90 დინამოელთა სასარგებლოდ.

დაბოლოს გვინდა შევნიშნოთ, რომ თბილისის სპორტის სასახლის დირექციამ (დირექტორი გ. შარაშიძე) ყველაფერი გააკეთა ტურნირის სამაგალითოდ მასპინძლობისათვის.

ზურაბ ფოცხვერია.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

სამი მატჩიც და...

დონეცკსა და რიგაში დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტური. გუნდებს მეორე წრის დამთავრებამდე ჩასატარებელი დარჩათ 3-3 მატჩი, მერე კი ორ ექვსეულში ფინალური შეხვედრები დაიწყება. აი, როგორ დამთავრდა ტურის ბოლო შეხვედრები.

დონეცკი. „ყალგირისი“ ნელნელა იკრებს ძალებს და ინაზღაურებს დანაკლისს. ყოველ შემთხვევაში ამ ტურში მან ორჯერ დაამარცხა ცსკა. ამჯერად ლიტველებმა დამაჯერებელი ანგარიშით (94:79) დაამარცხეს არმიელი სპორტსმენები.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა უმაღლესი ლიგის დებიუტანტების — „შახტიორისა“ და ალმა-ათის არმიელთა ორთაბრძოლა. ტურის მასპინძლებმა მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვეს — 91:90.

რიგა. აქ ცენტრალური მატჩი ადგილობრივი ვეფ-ისა და კიევის არმიელთა შეხვედრა იყო. რიგელებმა, რომლებიც ფინალისტთა ექვსეულში მოხვედრის შანსებს ინარჩუნებენ, მეტად საჭირო 2 ქულა აიღეს — 91:75.

ორიოდე დღის წინ ლენინგრადის „სპარტაკმა“ (ისიც ფინალისტთა ექვსეულის საგზურისათვის იბრძვის) 6 ქულით დაამარცხა „სტატიბა“. მეტოქეთა განმეორებით შეხვედრაში ვილნიუსის კალათბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო, რაც პირველ რიგში ანგარიშმაც ცხადყო. 20-ქულიანი სხვაობა (93:73) „სტატიბას“ აშკარა უპირატესობაზე მიგვანიშნებს.

* * *

საკავშირო ჩემპიონატი 17 იანვარს განახლდება. თბილისის „დინამო“ ამ დღეს დონეცკში მოსკოველ თანაკლუბელებს შეხვდება, მეორე დღეს კი ადგილობრივ „შახტიორს“. მანამდე, 4 იანვარს, თბილისელები ბოლო ტურის ერთ შეხვედრას კაუნასში „ყალგირისთან“ ჩაატარებენ, რომელიც მერე ევროპის საკლუბო ტურნირებისთვის სამზადისს დაიწყებს.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	19	15	4	1813-1584	34
„ყალგირისი“ (კაუნასი)	19	13	6	1648-1555	32
„დინამო“ (თბილისი)	19	12	7	1457-1509	31
ასკ (კიევი)	19	11	8	1612-1643	30
„შახტიორი“ (დონეცკი)	19	11	8	1512-1511	30
„სპარტაკი“ (ლენინგრ.)	19	10	9	1563-1545	29
ვეფ (რიგა)	19	10	9	1734-1726	29
„დინამო“ (მოსკოვი)	19	8	11	1646-1693	27
„სტროიტელი“ (კიევი)	19	7	12	1595-1589	26
„სტატიბა“ (ვილნიუსი)	19	7	12	1553-1644	26
რტი (მინსკი)	19	5	14	1527-1549	24
ასკ (ა-ათა)	19	5	14	1561-1673	24

სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მწვრთნელთა საბჭოს წარდგენით დაამტკიცა 1986 წლის სეზონის სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია.

მეკარეები

1. **რინატ დასაევი** („სპარტაკი“)
2. **ვიქტორ ჩანოვი** („დინამო“, კიევი)
3. დიმიტრი ხარინი („ტორპედო“, მოსკოვი)

მარჯვენა მცველები

1. **ვლადიმერ ბესონოვი** („დინამო“, კიევი)
2. **თენგიზ სულაქველიძე** („დინამო“, თბილისი)
3. ვიქტორ ლოსევი („დინამო“, მოსკოვი)

ცენტრალური მცველები

1. **ალექსანდრე ჩივაძე** („დინამო“, თბილისი)
2. **სერგეი ბალტჩა** („დინამო“, კიევი)
3. სერგეი პრიგოდა („ტორპედო“, მოსკოვი)
1. **ოლეგ კუზნეცოვი** („დინამო“, კიევი)
2. **ბორის კუზნეცოვი** („სპარტაკი“)
3. არვიდას იანონისი („ყალგირისი“)

მარცხენა მცველები

1. **ანატოლი დემიანენკო** („დინამო“, კიევი)
2. **ბორის პოზდნიაკოვი** („დინამო“, მოსკოვი)
3. გენადი მოროზოვი („სპარტაკი“)

მარჯვენა ნახევარმცველები

1. **ივან იარემჩუკი** („დინამო“, კიევი)
2. **სერგეი ალეინიკოვი** („დინამო“, მინსკი)
3. ვადიმ ევტუშენკო („დინამო“, კიევი)

ცენტრალური ნახევარმცველები

1. **ვასილი რაცი** („დინამო“, კიევი)
2. **სერგეი გოცმანოვი** („დინამო“, მინსკი)
3. ვასილი კარატაევი („დინამო“, მოსკოვი)

მარცხენა ნახევარმცველები

1. **პავლე იაკოვენკო** („დინამო“, კიევი)
2. **ვაგიზ ხიდიატულინი** („სპარტაკი“)
3. იგორ დობროვოლსკი („დინამო“, მოსკოვი)

მარჯვენა თავდამსხმელები

1. **იგორ ბელანოვი** („დინამო“, კიევი)
2. **იური სავიჩევი** („ტორპედო“, მოსკოვი)
3. სერგეი დმიტრიევი („ზენიტი“)

ცენტრალური თავდამსხმელები

1. **ალექსანდრე ზავაროვი** („დინამო“, კიევი)
2. **ალექსანდრე ბოროდიუკი** („დინამო“, მოსკოვი)
3. ოლეგ პროტასოვი („დნეპრი“)

მარცხენა თავდამსხმელები

1. **ოლეგ ბლოხინი** („დინამო“, კიევი)
2. **სერგეი როდიონოვი** („სპარტაკი“)
3. მაშალა აჰმედოვი („ნეფთჩი“)

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 28 დეკემბერი. რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1)**, „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20 (1)**.

29 დეკემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (1)**; ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი: სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია (გადმოცემა კანადიდან) — **20.00 (1)**.

საქართველოს ტელევიზია. 28 დეკემბერი. ფეხბურთის მოყვარულთათვის — XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია — პოლონეთი — **13.05**.

29 დეკემბერი. ემზადებიან ზამთრის სპორტული სეზონისათვის — **21.35**.

საქართველოს რადიო. 28 დეკემბერი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30**.

რედაქტორის მოადგილე
თ. ბაჩეჩილაძე.

„სპორტლოტოს“ კეთილშობილური მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა სპორტის განვითარებას

1987 წლის 1 იანვრიდან

ლატარია „სპორტლოტო“ ერთგვარი ცვლილებებით ჩატარდება

კერძოდ, მოთამაშეებს თავიანთი სურვილისამებრ შეუძლიათ ლატარიის ბილეთების „ბვ“ შევსებული ნაწილები „სპორტლოტოს“ ყუთში კი არ ჩაუშვან, როგორც ეს ადრე იყო, არამედ უშუალოდ ჩააბარონ საზოგადოებრივ გამავრცელებლებს საგანგებოდ ამ მიზნით განკუთვნილ პუნქტებში, რომელთა მისამართებსაც დამატებით გამოვაცხადებთ.

შევსებული ბილეთი, რომელსაც „ა“ ნაწილს არ მოახვევთ, უნდა ჩააბაროთ საზოგადოებრივ გამავრცელებელს. იგი ბილეთის „ა“ და „ბ“ ნაწილებზე დასვამს პირადი სანომრო შტამპის ანაბეჭდს, მოხვევს „ა“ ნაწილს და დაგიბრუნებთ მას ტირაჟის შედეგების შესამოწმებლად. გარდა ამისა, ეს იქნება დოკუმენტი მოგების მისაღებად.

„ა“ და „ბ“ ნაწილებზე სანომრო შტამპის დასმა ზრდის გარანტიას, რომ თქვენს ბილეთებს სამმართველო დროულად მიიღებს და ისინი მითითებულ ტირაჟში გათამაშდება.

„სპორტლოტოს“ ყუთები უშუალოდ მიღების პუნქტებში აღარ იქნება.

რეალიზაციის ყველა სხვა პუნქტში — „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში, შემნახველ სალაროებში, საფოსტო განყოფილებებში — ლატარიის ბილეთების „ბვ“ ნაწილები კვლავ შეგიძლიათ „სპორტლოტოს“ ყუთებში ჩაუშვათ.

რამდენადაც ახალი წესი დიდ დროს მოითხოვს, ამასთან, იგი ჯერ კიდევ ყველგან არ არის დანერგილი, გთხოვთ ბილეთების გაფორმებას ნუ გადადებთ, უსათუოდ ხუთშაბათისა და პარასკევისთვის — შეავსეთ ისინი დროულად, კვირის სხვა დღეებში.

დაზუსტდა ტირაჟებში იმ ბილეთების მონაწილეობის წესი, რომლებზეც გადახაზულია ლატარიის პირობით გათვალისწინებულზე მეტი ნომერი.

თუ იდენტურად გადახაზულია ერთი ნომრით მეტი, მოგების დადგენისას ამ ვარიანტს გამოაკლდება ყველაზე მაღალი ციფრი ბილეთზე წაშლილი ნომრებიდან. თუ წაშლილია გათვალისწინებულზე ორი, სამი და ა. შ. ნომრით მეტი, ვარიანტი დაწუნებული იქნება და მოგებათა განსაზღვრისას იგი მხედველობაში არ მიიღება.

თუ არაიდენტურად არის გადახაზული ერთი ნომრით მეტი, მოგების განსაზღვრისას ეს ვარიანტი ასევე გათვალისწინებული არ იქნება.

თუ ბილეთის მიღება მასზე მითითებული ტირაჟისათვის რაიმე მიზეზით დაგვიანდა, იგი გათამაშდება იმ ტირაჟში, რომელსაც დაემთხვევა სპორტული ლატარიების სამმართველოში მისი შემოსვლა.

ახალი შეღავათებია გათვალისწინებული მათთვის, ვისაც მაქსიმალური მოგება ხვდება.

მას, ვინც 10 ათას მანეთს მოიგებს, უფლება ეძლევა ურიგოდ შეიძინოს მსუბუქი ავტომანქანა.

1987 წელს „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანის ურიგოდ მიღების შესაძლებლობა ეძლევა ყველას, ვინც „45-დან 6“ და „36-დან 5“ ლატარიების ერთჯერადი ბილეთებით მაქსიმალურ მოგებას მიიღებს.

მას, ვინც „სპორტლოტოს“ ათტირაჟიანი ბილეთებით მაქსიმალურ მოგებას მიიღებს, უფლება ეიძლება ურიგოდ შეიძინოს ავტომანქანა „ვოლგა“.

1987 წელს ფეხბურთის, ჰოკეის, კალათბურთისა და სპორტის სხვა სათამაშო სახეობათა მოყვარულებისთვის მოეწყობა ახალი სპორტული ლატარია — „სპორტპროგნოზი“.

ამ ლატარიის პირობების შესახებ დაწვრილებითი ცნობები დამატებით გამოქვეყნდება.

ი ყაავით ყურადღებით!

მიუხედავად მრავალგზის შეხსენებისა, ბევრი მოთამაშე დაბნეულობისა თუ წესების უცოდინარობის გამო, სამმართველოში „ბვ“ ნაწილის ნაცვლად გზავნის „ა“ ნაწილს, რითაც წინასწარ კარგავს ტირაჟში მონაწილეობის უფლებას.

ერთხელ კიდევ შეგახსენებთ: თამაშის წესების პირობებით, სპორტული ლატარიების სამმართველოში შემოსული ბილეთის „ა“ ნაწილი შეიძლება გაცვალოთ „ბვ“ ნაწილში, უშუალოდ სამმართველოში (თბილისი, ელიავას, 26) არაუგვიანეს პარასკევის 18 საათისა — მოცემული ტირაჟის წინ „ბ“ ნაწილის შესანახი ყუთის დალუქვამდე.

წინააღმდეგ შემთხვევაში სამმართველოში შემოსულ „ა“ ნაწილებს (გარდა 10-ტირაჟიანი ბილეთებისა, რომლებიც 10-ტირაჟიანი ციკლის განმავლობაში ინახება) სპობს სპეციალური კომისია სათანადო აქტით, სადაც მითითებული იქნება ბილეთების სერია და ნომრები.

გახსოვდეთ, რომ „ა“ ნაწილი ერთადერთი საბუთია, რომლითაც შეგიძლიათ მიიღოთ მოგება. ამიტომ ის თქვენთან უნდა ინახებოდეს.

სპორტული ლატარიების „სპორტლოტოსა“ და „სპრინტისაგან“ მიღებული თანხით ჩვენს ქვეყანაში ასობით სპორტული ნაგებობა აშენდა, ბევრს რეკონსტრუქცია გაუკეთდა. ისინი ყოველდღიურად ფართოდ უღებენ კარებს სხვადასხვა ასაკის ასობით ფიზკულტურელს. ამაში გამოიხატება „სპორტლოტოს“ დევიზი — „იგებთ თქვენ, იგებს სპორტი“.

„სპორტლოტოს“ ტირაჟები ეწყობა კვირას. თამაშდება ფულადი მოგება 3-დან 10000 მანეთამდე. ლატარიის ბილეთი ტირაჟში ნომრების ორი ვარიანტით მონაწილეობს. იგი იგებს იმ შემთხვევაში, თუ ტირაჟის შედეგებს ერთ-ერთი ვარიანტის არანაკლებ სამი ნომერი დაემთხვევა.

„სპორტლოტოს“ ტირაჟებში მონაწილეობით თქვენ წვლილი შეგაქვთ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში, ე. ი. მილიონობით ადამიანის აქტიური დასვენების საქმეში.

ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ მოგებას თამაშში, წარმატებას ფიზკულტურასა და სპორტში!

1986 წლის გასული ტირაჟები

„6 45“-დან	„5 36“-დან
1. 44, 39, 14, 16, 3, 23	32, 22, 30, 7, 33
2. 31, 14, 43, 27, 9, 29	10, 5, 18, 31, 12
3. 41, 16, 11, 6, 17, 14	11, 12, 18, 6, 13
4. 33, 24, 29, 16, 5, 1	20, 17, 36, 31, 4
5. 36, 39, 23, 34, 18, 28	30, 31, 16, 5, 26
6. 28, 39, 12, 34, 27, 9	6, 12, 9, 14, 19
7. 18, 29, 42, 25, 34, 9	32, 8, 6, 26, 3
8. 14, 29, 3, 11, 22, 41	35, 5, 32, 25, 3
9. 4, 31, 21, 28, 11, 13	6, 12, 26, 3, 15
10. 18, 28, 38, 12, 33, 6	2, 26, 17, 9, 35
11. 24, 5, 36, 30, 1, 3	35, 8, 25, 17, 2
12. 30, 9, 18, 42, 13, 45	34, 24, 29, 9, 11
13. 31, 5, 35, 44, 21, 27	17, 18, 23, 28, 36
14. 1, 28, 3, 5, 11, 7	20, 18,26, 5, 19
15. 7, 6, 45, 22, 27, 15	21, 7, 16, 11, 36
16. 16, 7, 29, 40, 38, 26	36, 17, 13, 18, 29
17. 18, 34, 16, 11, 7, 4	2, 31, 29, 17, 12
18. 29, 3, 4, 17, 25, 20	10, 14, 6, 24, 5
19. 28, 23, 8, 19, 15, 30	8, 5, 16, 27, 4
20. 13, 18, 22, 33, 8, 34	23, 31, 28, 26, 15
21. 6, 15, 21, 28, 32, 33	7, 9, 22, 28, 31
22. 6, 11, 15, 32, 36, 37	9, 12, 13, 16, 24
23. 2, 5, 15, 18, 28, 40	6, 9, 11, 17, 23
24. 1, 3, 9, 20, 29 36	15, 17, 22, 28, 33
25. 3, 7, 11, 29, 40, 44	5, 10, 26, 31, 34
26. 1, 4, 14, 16, 28, 33	5, 9, 11, 32, 35
27. 2, 5, 22, 31, 40, 42	6, 8, 18, 24, 31
28. 9, 12, 15, 37, 41, 44	8, 16, 20, 26, 28
29. 3, 5, 10, 27, 41, 44	15, 17, 19, 22, 33
30. 2, 11, 14, 27, 41, 45	11, 13, 23, 31, 36
31. 2, 5, 29, 39, 42, 44	3, 15, 16, 22, 26
32. 2, 5, 7, 10, 11, 36	4, 17, 20, 28, 36
33. 8, 10, 16, 17, 29, 42	1, 2, 17, 18, 22
34. 8, 21, 25, 28, 29, 35	5, 8, 18, 19, 28
35. 3, 11, 13, 20, 29, 30	15, 17, 18, 29, 30
36. 2, 7, 17, 21, 40, 42	6, 20, 25, 27, 32
37. 1, 3, 12, 13, 40, 41	2, 18, 24, 32, 35
38. 7, 8, 10, 25, 33, 43	3, 4, 14, 16, 31
39. 27, 36, 18, 37, 5, 10	1, 9, 27, 16, 15
40. 8, 10, 2, 36, 44, 4	2, 15, 11, 28, 3
41. 9, 1, 41, 23, 25, 21	19, 33, 17, 34, 1
42. 36, 28, 8, 9, 23, 42	33, 22, 20, 5, 35
43. 19, 44, 29, 6, 21 40	13, 36, 29, 9, 4
44. 14, 25, 34, 24, 1, 16	19, 14, 3, 13, 27
45. 26, 4, 28, 33, 24, 43	34, 2, 21, 27, 15
46. 1, 39, 40, 26, 4, 42	17, 10, 28, 36, 19
47. 35, 37, 30, 7, 20, 22	32, 26, 27, 25, 9
48. 34, 38, 45, 25, 6, 28	21, 23, 26, 29, 5
49. 38, 13, 15, 27, 22, 7	8, 18, 5, 27, 26
50. 10, 4, 31, 15, 3, 5	32, 8, 36, 27, 26
51. 7, 8, 18, 25, 27, 29	3, 10, 17, 18, 34

ტირაჟის დღე—კვირა

1987 წლის ტირაჟების ნომრები, მათი მოწყობის თარიღები

01. 4 იანვარი
02. 11 იანვარი
03. 18 იანვარი
04. 25 იანვარი
05. 1 თებერვალი
06. 8 თებერვალი
07. 15 თებერვალი
08. 22 თებერვალი
09. 1 მარტი
10. 8 მარტი
11. 15 მარტი
12. 22 მარტი
13. 29 მარტი
14. 5 აპრილი
15. 12 აპრილი
16. 19 აპრილი
17. 26 აპრილი
18. 3 მაისი
19. 10 მაისი
20. 17 მაისი
21. 24 მაისი
22. 31 მაისი
23. 7 ივნისი
24. 14 ივნისი
25. 21 ივნისი
26. 28 ივნისი
27. 5 ივლისი
28. 12 ივლისი
29. 19 ივლისი
30. 26 ივლისი
31. 2 აგვისტო
32. 9 აგვისტო
33. 16 აგვისტო
34. 23 აგვისტო
35. 30 აგვისტო
36. 6 სექტემბერი
37. 13 სექტემბერი
38. 20 სექტემბერი
39. 27 სექტემბერი
40. 4 ოქტომბერი
41. 11 ოქტომბერი
42. 18 ოქტომბერი
43. 25 ოქტომბერი
44. 1 ნოემბერი
45. 8 ნოემბერი
46. 15 ნოემბერი
47. 22 ნოემბერი
48. 29 ნოემბერი
49. 6 დეკემბერი
50. 13 დეკემბერი
51. 20 დეკემბერი
52. 27 დეკემბერი

ათჯერ უფრო სწრაფად

თამაშის ბევრ მოყვარულს ალბათ ჰქონია ასეთი დრამატული შემთხვევა. თამაშობთ ერთი და იმავე ნომრებით და ყოველთვის უღიბლოდ. შეცვალეთ ნომრები და... ნუ იტყვით — ლოტოტრონმა აღრინდელი ნომრები „გადმოყარა“. ამიტომ, თუ ყოველთვის ერთსა და იმავე ნომრებს გადახაზავთ, როგორც თამაშის პრაქტიკა გვიჩვენებს, ერთი და იმავე სახეობების ერთგულება, ბოლოს და ბოლოს, შედეგს გამოიღებს და მოიგებთ.

რაკი გადაწყვიტეთ ნომრები არ შეცვალოთ, ჯობს ისარგებლოთ ათტირაჟიანი ბილეთით. უპირველესად, ეს დროის ეკონომიას მოგცემთ. იმისათვის, რომ შეავსოთ „სპორტლოტოს“ 10 ბილეთი ერთ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად, უნდა გადახაზოთ 20 ვარიანტი — 360 ნომერი ლატარიაში „6 45-დან“ ან 300 ნომერი ლატარიაში „5 36-დან“. ათტირაჟიან ბილეთში კი მხოლოდ ორი ვარიანტი და ათჯერ ნაკლები ნომერია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ათჯერ ნაკლებია შეცდომის შესაძლებლობა. როგორც ჩვენი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, შეცდომით შევსებული ათტირაჟიანი ბილეთები ერთტირაჟიანებზე 3-ჯერ ნაკლებია.

ასე რომ, ერთი ათტირაჟიანი ბილეთით შეგიძლიათ მოიგოთ რამდენჯერმე, ხოლო მისი შევსებისთვის ათჯერ ნაკლები დრო დახარჯოთ.

10-ტირაჟიანი ციკლის დროს მოგებები გროვდება პირად ანგარიშში, რომელსაც აწარმოებს სპორტული ლატარიების სამმართველო.

თუ ათივე ტირაჟის შედეგით მოგება 500 მანეთზე მეტი არ არის, იგი გაიცემა შემნახველ სალაროებში ბილეთის „ა“ ნაწილის წარდგენის შემდეგ.

500 მანეთზე მეტი ფულადი მოგება გაფორმდება სამმართველოში სპეციალური დავალებით.

10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებათა განაღდება დაიწყება ბოლო ტირაჟიდან 15 დღის შემდეგ ერთი თვის მანძილზე.

მჯერ ვართ

გემსახუროთ

ჩვენი მისამართი: 38 0019, თბილისი — 19, ელიავას ქ. № 26. ტელეფონები: 34-53-42, 34-38-00, სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“:

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07795